GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

01 Eylül/სექტემბერი 2026

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 941.1	10 296.5	7.5%	13.9 %	5.5 %

Gürcistan Başbakanı T.C. Tiflis Büyükelçisi ile Görüştü

პრემიერ-მინისტრი თურქეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze, T.C. Tiflis Büyükelçisi Mustafa Türker Arı ile görüştü.

Görüşmede, iki ülke arasındaki stratejik ortaklık ve mevcut ilişkilerin daha da geliştirilmesine yönelik fırsatlar ele alındı.

Toplantıda ayrıca ortak bölgesel projeler ile ticari ve ekonomik ilişkilerin güçlendirilmesinin önemi üzerinde duruldu. Bu kapsamda, Güney Kafkasya bölgesinde barış ve istikrarın sağlanmasının önemi vurgulandı.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩს მუსტაფა თურქერ არის შეხვდა.

შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა და ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობები განიხილეს.

საუბარი შეეხო ერთობლივ რეგიონულ პროექტებს და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაძლიერების მნიშვნელობას. ამ კონტექსტში ხაზი გაესვა სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელობას.

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

1 Eylül'den İtibaren Araçların Gürültü Seviyeleri Taşınabilir Cihazlarla Denetlenecek

1 სექტემბრიდან ავტომობილების ხმაურს პორტატული აპარატებით შეამოწმებენ

1 Eylül'den itibaren araçların gürültü seviyesi yerinde denetlenecek.

Aracınızın gürültü seviyesi, mevzuatta belirlenen sınırı aşarsa para cezası uygulanacak ve sürücü belgenizdeki puanlardan düşülecek.

Yeni düzenleme kapsamında, 1 Eylül 2026'dan itibaren İçişleri Bakanlığı'nın yetkili birimleri, trafik koşullarında araçların oluşturduğu gürültüyü uluslararası ISO 5130:2019 standardına uygun taşınabilir gürültü ölçüm cihazlarıyla denetleyecek.

Bakanlığın açıklamasına göre, motorlu araçların kullanımı sırasında oluşan gürültü için izin verilen sınırlar, Gürcistan Hükümeti'nin ilgili kararnamesiyle belirlenmiş durumda.

Buna göre, yerleşim yerlerinde gece saatlerinde, yani 23.00-08.00 arasında, araçların kullanımından kaynaklanan gürültünün 80 desibeli aşmaması gerekmektedir.

İhlal durumunda uygulanacak yaptırımlara ilişkin olarak İçişleri Bakanlığı, İdari Suçlar Kanunu uyarınca, kullanım sırasında çıkardığı gürültü yasal sınırı aşan bir aracı kullanan sürücüye ilk ihlalde 100 GEL para cezası verileceğini ve sürücü belgesindeki 10 puanın düşürüleceğini belirtiyor.

İhlalin tekrarlanması halinde sürücü 200 GEL para cezasına çarptırılacak ve sürücü belgesinden 20 puan düşülecek. Üçüncü ve sonraki her ihlal için ise 300 GEL para cezası uygulanacak ve sürücü belgesindeki puanlardan 30 puan düşürülecek.

1-ლი სექტემბრიდან ავტომობილების ხმაურს ადგილზე შეამოწმებენ.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი ავტომობილის ხმაური კანონით დადგენილ ნორმაზე მეტი იქნება, დაჯარიმდებით და მართვის მოწმობაზე ქულები დაგაკლდებათ.

ახალი წესით, 2026 წლის 1-ლი სექტემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი დანაყოფები საგზაო მოძრაობის პირობებში ავტომობილების მიერ

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

წარმოქმნილ ხმაურს საერთაშორისო ISO 5130:2019 სტანდარტის შესაბამისი პორტატული ხმაურსაზომი მოწყობილობებით შეამოწმებენ.

როგორც სამინისტრო განმარტავს, სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის დასაშვები ნორმები საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით არის განსაზღვრული.

კერძოდ, დასახლებულ პუნქტებში ღამის საათებში – 23:00-დან 08:00 საათამდე – ავტომობილის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაური 80 დეციბალს არ უნდა აღემატებოდეს.

რაც შეეხება დარღვევის შემთხვევაში არსებულ სანქციებს, შსს-ს ცნობით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაური კანონით დადგენილ ნორმას აღემატება, პირველ ჯერზე 100-ლარიან ჯარიმასა და მართვის მოწმობის 10 ქულის შემცირებას ითვალისწინებს.

დარღვევის განმეორების შემთხვევაში – მძღოლი 200 ლარით დაჯარიმდება და 20 ქულა ჩამოაკლდება, ხოლო მესამე და ყოველი მომდევნო დარღვევისთვის გათვალისწინებულია 300-ლარიანი ჯარიმა და მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულების 30-ით შემცირება.

Temmuz Ayında Gürcistan Ekonomisi %8 Artış Gösterdi

ივლისში საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 8.0% შეადგინა

2026 yılının Temmuz ayında Gürcistan ekonomisi %8 büyürken, Ocak-Temmuz dönemindeki ekonomik büyüme %7,9 olarak gerçekleşti.

Ocak-Temmuz döneminde kaydedilen yüksek ekonomik büyümeye, dış ticaretteki olumlu gelişmeler önemli ölçüde katkı sağladı. Bu dönemde toplam mal ihracatı %21,6 artarak 4 milyar 670,2 milyon ABD dolarına ulaştı.

Özellikle yerli ihracatta (yeniden ihracat hariç ihracat) dikkat çekici bir artış kaydedildi. Yerli ihracat %64,1 artarak 2 milyar 854,3 milyon ABD dolarına yükseldi.

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

2026 წლის ივლისში საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 8.0% შეადგინა, ხოლო იანვარ-ივლისის ეკონომიკური ზრდა 7.9%-ს გაუტოლდა.

იანვარ-ივლისში დაფიქსირებულ მაღალ ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საგარეო ვაჭრობის მიმართულებით არსებულმა პოზიტიურმა ტენდენციებმა. იანვარ-ივლისში საქონლის მთლიანი ექსპორტი 21.6%-ით გაიზარდა და 4,670.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ზრდა დაფიქსირდა ადგილობრივი ექსპორტის მიმართულებით (ექსპორტი რე-ექსპორტის გამორიცხვით), სადაც ზრდამ 64.1% შეადგინა და 2,854.3 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

Temmuz 2026'da İhracat ve Dış Ticaret Hacmi Rekor Seviyelere Ulaştı

2026 წლის ივლისში ექსპორტმა და სავაჭრო ბრუნვამ რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია

Gürcistan'ın dış ticaret ilişkilerinde pozitif ivme ve yüksek ekonomik aktivite devam etmekte. 2026 yılı Temmuz ayına ilişkin öncü verilere göre, ülkenin dış ticaretinde ihracat ve dış ticaret hacmi açısından rekor seviyeler kaydedilirken, dış ticaret dengesi de iyileşti.

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

Özellikle ihracatta dikkat çekici bir artış kaydedildi. 2026 yılı Temmuz ayında ihracat, geçen yılın aynı dönemine kıyasla %29,8 oranında artarak aylık bazda rekor seviyeye, **792,4 milyon ABD dolarına** ulaştı.

2026 yılının Ocak-Temmuz döneminde ise ihracat %21,6 oranında artarak **4.668,7 milyon ABD doları** ile ayrıca bir rekor kırdı.

İhracattaki önemli artışın sonucunda dış ticaret dengesi de iyileşti.

2026 yılı Temmuz ayında dış ticaret hacmi, Temmuz ayları bazında tarihi zirveye ulaşarak **2.495,4 milyon ABD doları** olarak gerçekleşti. Bu rakam, geçen yılın aynı dönemine göre %12,4 oranında daha yüksek.

2026 yılının Ocak-Temmuz döneminde dış ticaret hacmi %7,5 oranında artarak **15.517,6 milyon ABD doları** ile yine rekor kırıldı.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში პოზიტიური დინამიკა და მაღალი ეკონომიკური აქტივობა ნარჩუნდება. 2026 წლის ივლისის ექსპრეს მონაცემების თანახმად, ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში ექსპორტისა და სავაჭრო ბრუნვის კუთხით რეკორდული მაჩვენებლები დაფიქსირდა, ამასთან გაუმჯობესდა სავაჭრო ბალანსიც.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი ზრდა დაფიქსირდა ექსპორტის მიმართულებით. 2026 წლის ივლისში ექსპორტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 29.8%-ით გაიზარდა და თვიურ ჭრილში რეკორდულ ნიშნულს - **792.4 მილიონ აშშ დოლარს** მიაღწია.

2026 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში ექსპორტი 21.6%-ით გაიზარდა და ასევე რეკორდული ოდენობა **4,668.7 მილიონი აშშ დოლარი** შეადგინა.

ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად გაუმჯობესდა სავაჭრო ბალანსი.

2026 წლის ივლისში სავაჭრო ბრუნვამ ივლისის თვის რეკორდული მაჩვენებელი **2,495.4 მილიონი აშშ დოლარი** შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 12.4%-ით მეტია. 2026 წლის იანვარ-ივლისში სავაჭრო ბრუნვა 7.5%-ით გაიზარდა და ასევე რეკორდულ **15,517.6 მილიონ აშშ დოლარს** გაუტოლდა.

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

Temmuz Ayında Gürcistan'da Elektrik Tüketimi 1,2 TWh Seviyesine Geriledi

ივლისში ელექტროენერგიის მოხმარება 1.2 ტვტ.სთ-მდე შემცირდა

Galt & Taggart tarafından yayımlanan elektrik piyasası değerlendirmesine göre, temmuz ayında Gürcistan'ın yerel elektrik tüketimi yıllık bazda %4,1 azalarak 1,2 TWh'ye geriledi.
Düşüş tüm tüketici segmentlerinde kaydedildi:

- Abhazya bölgesi: yıllık bazda %7,4 düşüş
- Doğrudan tüketiciler: yıllık bazda %2,3 düşüş
- Perakende tüketiciler: yıllık bazda %4,1 düşüş

Yatırım bankası, tüketimdeki gerilemenin temel nedeninin yaz aylarının görece serin geçmesi olduğunu belirtmekte. Bununla birlikte, sistem genelindeki elektrik kesintilerinin de tüketimdeki düşüşe sınırlı bir etkisi olduğu ifade edildi.

Galt & Taggart, temmuz ve ağustos aylarında Gürcistan'da üç sistemik arıza meydana geldiğine ve bu arızaların ülkenin neredeyse tamamında birkaç saat süren elektrik kesintilerine yol açtığına dikkat çekmektedir. Arızaların nedenleri henüz bilinmezken, konuya ilişkin soruşturma devam etmekte.

Değerlendirmede, "Tahminlerimize göre, söz konusu arızalar nedeniyle temmuz ayında elektrik tüketimi yaklaşık 5 GWh azaldı. Bu miktar, ülkenin temmuz ayındaki toplam elektrik tüketiminin %0,4'üne denk geliyor" ifadelerine yer verildi.
Temmuz ayındaki düşüşe rağmen, 2026'nın ilk yedi ayında Gürcistan'ın yerel elektrik tüketimi yıllık bazda %3,8 artarak 8,5 TWh'ye ulaştı.

Galt & Taggart-ის ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვის მიხედვით, ივლისში ადგილობრივი მოხმარება 4.1%-ით 1.2 ტვტ.სთ-მდე შემცირდა.

კლება დაფიქსირდა ყველა სეგმენტში:

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარების პროფილი მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

- აფხაზეთის რეგიონი: -7.4% წ/წ
- პირდაპირი მომხმარებლები: -2.3% წ/წ
- საცალო მომხმარებლები: -4.1% წ/წ

საინვესტიციო ბანკში განმარტავენ, რომ მოხმარების კლების მთავარი მიზეზი შედარებით გრილი ზაფხული იყო. ამასთან, მოხმარების შემცირებაში მცირე წვლილი სისტემურ გათიშვებსაც ჰქონდა.

Galt & Taggart-ში აღნიშნავენ, რომ საქართველოში ივლის-აგვისტოში მოხდა 3 სისტემური ავარია, რასაც თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით, რამდენიმე საათის განმავლობაში ელექტროენერგიის შეწყვეტა მოჰყვა. ავარიების მიზეზები ცნობილი არაა და მიმდინარეობს გამოძიება.

"ჩვენი შეფასებით, ავარიების შედეგად, ივლისის თვეში ელექტროენერგიის მოხმარება დაახლოებით 5 გვტ.სთ-ით შემცირდა, რაც ივლისის თვის ქვეყნის ჯამური მოხმარების 0.4%-ია. მიუხედავად ივლისის კლებისა, ჯამურად, 2026 წლის 7 თვეში, ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 3.8%-ით გაიზარდა და 8.5 ტვტ.სთ შეადგინა", - აღნიშნულია მიმოხილვაში.

ARKAS GEORGIA LLC
TURKISH AIRLINES
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless

Ocak-Temmuz Döneminde Gürcistan'dan Petrol ve Petrol Ürünlerinin Yerli İhracatı %4.000 Arttı

იანვარ-ივლისში საქართველოდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ადგილობრივი ექსპორტი 4000%-ით გაიზარდა

2026 yılının ilk 7 ayında Gürcistan'dan gerçekleştirilen petrol ve petrol ürünlerinin yerli ihracatı %4.000 oranında arttı.

2026 yılının Ocak-Temmuz döneminde Gürcistan'dan **543,201 milyon ABD doları** değerinde yerli üretim petrol ve petrol ürünleri ihraç edildi. Geçen yılın aynı döneminde ise bu değer **13,248 milyon ABD doları** seviyesindeydi.

Bu gösterge doğrultusunda, petrol ve petrol ürünleri **2026 yılının Ocak-Temmuz döneminde %19'luk pay ile Gürcistan'ın yerli ihracatında ilk sırada yer aldı.**

Ülkelere göre değerlendirildiğinde, 2026 yılının ilk 7 ayında petrol ve petrol ürünlerinin yerli ihracatında **Togo** ilk sırada yer aldı. Togo'ya gerçekleştirilen yerli ihracatın değeri **136,742 milyon ABD doları** olarak gerçekleşti.

Ocak-Temmuz döneminde Gürcistan'dan en fazla petrol ve petrol ürünü ihraç edilen ülkeler:

- **Togo: 136,742 milyon ABD doları**
- **Çin: 79,991 milyon ABD doları**
- **Türkiye: 69,945 milyon ABD doları**
- **Senegal: 62,780 milyon ABD doları**
- **Libya: 35,303 milyon ABD doları**
- **Singapur: 27,000 milyon ABD doları**
- **Cezayir: 25,150 milyon ABD doları**
- **Umman: 24,804 milyon ABD doları**
- **Malta: 21,327 milyon ABD doları**
- **Tunus: 17,217 milyon ABD doları**

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · იმბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

2026 წლის 7 თვეში საქართველოდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ადგილ ობრივი ექსპორტი 4 000%-ით გაიზარდა.

მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში საქართველოდან 543.201 მლნ აშშ დოლარის ადგილობრივი წარმოების ნავთობ და ნავთობპროდუქტები გავიდა, წინა წლის იგივე პერიოდში - 13.248 მლნ აშშ დოლარის.

აღნიშნული მაჩვენებლით წელს, საანგარიშო პერიოდში ნავთობი და ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფი ადგილობრივ ექსპორტში პირველ ადგილს იკავებს 19%-იანი წილით.

რაც შეეხება ქვეყნებს, 2026 წლის 7 თვეში ნავთობპროდუქტები გავიდა, პირველ ადგილზეა კვლავ ტოგო, სადაც ადგილობრივმა ექსპორტმა 136.742 მლნ ლარი შეადგინა.

ქვეყნები, სადაც იანვარ-ივლისში ადგილობრივი ნავთობი და ნავთობპროდუქტები ყველაზე დიდი რაოდენობით გავიდა:

- **ტოგო - 136.742 მლნ აშშ დოლარის;**
- **ჩინეთი - 79.991 მლნ აშშ დოლარის;**
- **თურქეთი - 69 945 მლნ აშშ დოლარის;**
- **სენეგალი - 62 780 მლნ აშშ დოლარის;**
- **ლიბია - 35 303 მლნ აშშ დოლარის;**
- **სინგაპური - 27 000 მლნ აშშ დოლარის;**
- **ალჟირი - 25 150 მლნ აშშ დოლარის;**
- **ომანი - 24 804 მლნ აშშ დოლარის;**
- **მალტა - 21 327 მლნ აშშ დოლარის;**
- **ტუნისი - 17 217 მლნ აშშ დოლარის.**